ჯგუფი ენერგო პრო

ადამიანის უფლებების პოლიტიკა

2026

ადამიანის უფლებებისპოლიტიკა („პოლიტიკა“)

1. შესავალი

ENERGO-PRO a.s.-ის (შემდგომში „ENERGO-PRO“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) ძირითად საქმიანობას განახლებადი ენერგიის წარმოება წარმოადგენს. ჯგუფის დამატებით საქმიანობებში შედის ელექტროენერგიის განაწილება, მიწოდება და ვაჭრობა.

ENERGO-PRO იცავს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპების (VPSHR) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციის — შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ — პრინციპებს. ჩვენი მიდგომა ადამიანის უფლებების მიმართ ვრცელდება ასევე ჩვენს ღირებულების ჯაჭვზეც.

2. მიზნები

ადამიანის უფლებების პოლიტიკის მიზნებია:

- ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების მიმართულებით კარგი საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკის (GIIP) პატივისცემა და მისი პრაქტიკაში დანერგვა.
- ორგანიზაციის მასშტაბით ადამიანის უფლებების პატივისცემის პასუხისმგებლობის ინტეგრირებისათვის ჩარჩოს უზრუნველყოფა.
- ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების გაძლიერება.
- ჩვენი პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ადამიანის უფლებების პატივისცემისადმი ჩვენი ერთგულების დემონსტრირება და ნდობის ჩამოყალიბება.

3. მმართველობა

ENERGO-PRO a.s.-ის ჯგუფისა და შვილობილი კომპანიების დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია წინამდებარე პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფაზე. ზემდგომი ხელმძღვანელობის რგოლი პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებების რისკების მონიტორინგზე და პოლიტიკის შესაბამის ბიზნეს პროცესებსა და ოპერაციებში ინტეგრირებაზე.

ENERGO-PRO-ს უმაღლესი ხელმძღვანელობა ადამიანის უფლებების, პრაქტიკებსა და ბუნებრივ კაპიტალზე ზემოქმედების, ასევე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ზემოქმედების პრაქტიკების რეგულარული გადახედვის გზით.

4.მოქმედების სფერო

პოლიტიკა ვრცელდება ყველა თანამშრომელზე და ჩვენს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებზე.

ეს პოლიტიკა ვრცელდება ENERGO-PRO-ზე, ასევე ENERGO-PRO ჯგუფის იმ შვილობილ კომპანიებზე, რომლებიც ოპერირებენ ბულგარეთსა და საქართველოში და შვილობილ კომპანიაზე Murat Nehri Elektrik Üretim A.Ş., რომელიც ოპერირებს თურქეთში.

იგი ასევე ვრცელდება ENERGO-PRO ჯგუფის ყველა სხვა შვილობილ კომპანიაზე, თუმცა მათ შეუძლიათ მიმართონ ჯგუფის დირექტორთა საბჭოს ამ პოლიტიკის კონკრეტული დებულებებისგან გათავისუფლების მოთხოვნით. ჯგუფის დირექტორთა საბჭოს შეუძლია დაეთანხმოს ასეთ მოთხოვნას იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ გათავისუფლება ეფუძნება ობიექტურ და კომერციულად გონივრულ საფუძვლებს და ასევე შეესაბამება ადგილობრივ კანონმდებლობას, ჯგუფის ქცევის კოდექსს და სავალდებულო ფინანსურ ვალდებულებებს. დამტკიცებული გამონაკლისები დოკუმენტირდება და გაზიარდება ჯგუფის ESG დეპარტამენტთან.

ჩვენ ველით, რომ ჩვენთან და ჩვენი სახელით მომუშავე პირები დაიცავენ ანალოგიურ სტანდარტებს და საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი ბიზნეს პროცესების ფარგლებში შეიძლება შევაფასოთ ამ პრინციპებთან მათი შესაბამისობა.

5. პოლიტიკის განცხადება

„ადამიანის უფლებების პატივისცემა ჩადებულია ჩვენს ღირებულებებსა და ჩვენს ქცევის გლობალურ კოდექსში. ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენს ერთგულებას ადამიანის უფლებების მიმართ იმით, რომ უზრუნველვყოფთ ჩვენი ლიდერების ანგარიშვალდებულებას, პროაქტიულად შესაბამისი კითხვების დასმით და სათანადო წინდახუდულობის პროცესების გამოყენებით ჩვენს საქმიანობაში ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზემოქმედების გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენს თანამშრომლებს ესმოდეთ — ადამიანის უფლებები იწყება მათით და წარმოადგენს ჩვენი გადაწყვეტილების მიღებისა და ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. ჩვენ ვაღიარებთ პასუხისმგებლობას „არ მივაყენოთ ზიანი“ - ისადმი. ENERGO-PRO a.s.-ის დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო დაზედგომი ხელმძღვანელობის რგოლი განახორციელებს წინამდებარე პოლიტიკის დარღვევების მონიტორინგს და შესაბამის რეაგირებას.“

6.პრინციპები

შემდეგი პრინციპები დადგენილია ENERGO-PRO -ს ადამიანის უფლებების არსებითი რისკების შეფასების საფუძველზე:

- **გადასახლება**: ჩვენ ვაღიარებთ სრულყოფილი, მონაწილეობითი კონსულტაციის პროცესისა და სამართლიანი, სამართლზომიერი და ადეკვატური კომპენსაციის უფლებას იმ პირებისა და თემებისთვის, რომელთაც ეხებათ გადასახლება. ჩვენ პატივს ვცემთ კანონით და/ან აღიარებული ჩვეულებებით დადგენილი მიწის საკუთრებას და ინტერესებს, აგრეთვე ფიზიკური გადაადგილებით დაზარალებული პირების შესაბამის საცხოვრებელზე უფლებას.

- **საზოგადოების ჩართულობა:** ჩვენ ვაღიარებთ უფლებას სრულყოფილ, ყოვლისმომცველი მონაწილეობისთვის და სამართლიანი კონსულტაციის პროცესისთვის. ENERGO-PRO იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შესაბამისი საშუალებები, რომლის მეშვეობითაც თემებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ საკუთარი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გამოხატვა კომპანიის საჩივრების მართვის მექანიზმის სტანდარტის შესაბამისად. ჩვენ

ENERGO-PRO

ოპერატიულად ვრეაგირებთ დაინტერესებული მხარეების მოსაზრებასა და საჩივრებზე და ვახორციელებთ ზემოქმედების მნიშვნელობისა და მასშტაბის პროპორციულ გამოსასწორებელ ღონისძიებებს. ასევე პატივს ვცემთ კანონით და/ან აღიარებული ჩვეულებებით განსაზღვრულ კულტურულ მემკვიდრეობას. ვმუშაობთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გავზარდოთ ჩვენი საქმიანობის სარგებელი და შევამციროთ უარყოფითი ზემოქმედება დაზარალებულ თემებზე. ჩვენი ჯგუფის

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სტანდარტი დამატებით სახელმძღვანელო მითითებებს უზრუნველყოფს.

- **მკვიდრი ხალხი:** ვაღიარებთ, რომ აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან/არსებით ადამიანის უფლებების საკითხს იმ შემთხვევაში, თუ მომავალში ვიქნებით პროექტებში რომლებიც გავლენას ახდენს მკვიდრ ხალხზე. ჩვენ პატივს ვცემთ მკვიდრი ხალხების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებებს, მათ კავშირსა და საკუთრებას მიწებთან, თვითგამორკვევის უფლებას, კულტურის შენარჩუნებას, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვას და წყალთან კავშირს, და ვიცავთ გაეროს დეკლარაციას მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ.

- **გარემოსდაცვითი უფლებები:** ჩვენ ვაღიარებთ უფლებას შესაბამის გარემოზე, მათ შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გარემოსდაცვით საკითხებზე მონაწილეობითი პროცესისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას. პირველ ეტაპზე, ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელ შემთხვევებში, ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ და შევამციროთ გარემოზე ზემოქმედება და პროექტების

[illegible] ზემოქმედების შემთხვევაში [illegible] ადეკვატური კომპენსაცია
[illegible] ეკოსისტემებისა და ობიექტების სათანადო აღდგენა.

- **შრომა და ღირებულებათა ჯაჭვი** : ჩვენ ვაღიარებთ დასაქმებულთა უფლებებს უსაფრთხო შრომის პირობებზე, მიგრანტი მუშაკების უფლებებს, ადეკვატურ / შესაბამის სამუშაო პირობებს (მათ შორის დასაქმება, გათავისუფლება, დაწინაურება და ანაზღაურება), დასაქმების, შრომითი პროცესის სამართლიანობას, თანაბარ და სამართლიან მოპყრობას, შევიწროებისგან თავისუფალ გარემოსა და გაერთიანების თავისუფლების უფლებას. ვგმობთ ყველა ფორმის დისკრიმინაციას, მათ შორის გენდერულ დისკრიმინაციას, და ხელს ვუწყობთ ინკლუზიურ და მრავალფეროვან მიდგომებს დასაქმების, დაწინაურებისა და ანაზღაურების პროცესებში. ჩვენმა თანამშრომლებმა და ღირებულებათა ჯაჭვმა შეიძლება წარმოშვას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები კომპანიის საჩივრებისა და მამხილებელთა მექანიზმების მეშვეობით, რაც აღწერილია კორპორატიულ პოლიტიკებსა და პროცედურებში. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ საკითხები იქნას წარმოდგენილი კონფიდენციალურად და შურისძიების შიშის გარეშე. კომპანია განიხილავს ამ საშუალებებით მიღებულ საკითხებს და, საჭიროების შემთხვევაში,

მიიღებს ზომებს ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად და გამოსასწორებლად.

- **ბავშვთა შრომა, იძულებითი შრომა და თანამედროვე მონობა:** ჩვენ ვიცავთ დასაქმებისას მინიმალური ასაკის სტანდარტებს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ვერიდებით დასაქმებულთა ჩართვას ვალდებულებით შრომით ურთიერთობებში (მათ შორის ხელფასის წინასწარ გაცემის ან სესხების გზით), არ ვაკავებთ ანაზღაურებას ან სარგებელს თანამშრომლებისგან დამატებითი სარგებლის ან სამუშაოს იძულების მიზნით. ყველა სამუშაო ხორციელდება ნებაყოფლობით, იძულებითი ან სავალდებულო შრომის გარეშე. ხელშეკრულებების შეწყვეტა

სათანადოდ ეცნობებათ თანამშრომლებს და ყველა ანაზღაურება და სარგებელი გაიცემა ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

- **უსაფრთხოება და კონფლიქტი:** ჩვენ უზრუნველვყოფთ ადამიანის უფლებების უსაფრთხოებას ინვესტორებისა, ბიზნეს პარტნიორებისა, ადგილობრივ მმართველობებსა და შორის ნებისმიერ ადგილობრივ ადამიანებს. ჩვენ ვიზიარებთ ინფორმაციას ადამიანის უფლებების ძალადობის ან ადამიანის უფლებების ძალადობანელოს შესაბამისი ქცევის წესების შესახებ პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას. კონტრაქტების გაფორმებამდე ვატარებთ სათანადო შემოწმებად უსაფრთხოების ყველა კონტრაქტორთან მიმართებაში. ჩვენს ურთიერთობებში ხელს ვუწყობთ ღია კომუნიკაციას, კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტასა და კონსენსუსის მიღწევას. ასევე ვამკვიდრებთ მკაცრ კონტროლს ძალის გამოყენებაზე და შესაძლებლობის ფარგლებში ვზღუდავთ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ჩვენს ობიექტებზე. ძალის გამოყენება უნდა იყოს პროპორციული, კანონით დასაშვები და მკაცრად შეზღუდული იმ შემთხვევებით, როდესაც აუცილებელია სიცოცხლის დაცვა ან სერიოზული ზიანის თავიდან აცილება.

- **ანტიკორუფცია**: ჩვენ მხარს ვუჭერთ ქრთამისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. ბიზნესის წარმართვისას ვმოქმედებთ პატიოსნად, ეთიკურად და კეთილსინდისიერად პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას.

- **მომხმარებლები**: ჩვენი ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის განაწილება და მიწოდება. ჩვენ ვისწრაფვით მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფისკენ და მომხმარებელთა საჩივრებს ვპასუხობთ დროულად და პასუხისმგებლობით, გარე საჩივრების მართვის მექანიზმის მეშვეობით.

7. ადამიანის უფლებების დაცვის სათანადო შეფასება

ENERGO-PRO ცდილობს მოახდინოს მის ბიზნეს საქმიანობასთან და ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირება, პრევენცია და შერბილება/შემსუბუქება.

ამ ვალდებულების ფარგლებში, კომპანია ადამიანის უფლებების საკითხების ინტეგრირებას ახდენს შესაბამის კორპორატიულ პროცესებში. აღნიშნული მოიცავს:

- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოტენციური და ფაქტობრივი რისკებისა და ზემოქმედების შეფასებას.
- დასკვნების ინტეგრირებას შიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.
- შემარბილებელი ზომების ეფექტურობის მონიტორინგს; და
- ზემოქმედების მოგვარებას იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანიამ გამოიწვია ან ხელი შეუწყო მათ.

8. კომუნიკაცია

ადამიანის უფლებები ინტეგრირებულია ჩვენს ქცევის კოდექსში, შიდა პოლიტიკებსა და მდგრადობის ჩარჩოში. ეს პოლიტიკა მინიმუმ წელიწადში ერთხელ ეცნობება ყველა თანამშრომელსა და ღირებულების ჯაჭვის მონაწილეებს სხვადასხვა არხის მეშვეობით, მათ შორის ახალ თანამშრომლებს ინტეგრაციის პროცესში, ტრენინგების, ჩვენი კორპორაციული

ვებგვერდის, ელფოსტისა და SMS შეტყობინებების, ოფისის პოსტერების, კონტრაქტორებთან დადებული ხელშეკრულებებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

გარდა ამისა, თითოეული ბიზნეს ერთეული ვალდებულია წარმოადგინოს, როგორ ახორციელებს ამ პოლიტიკის ინტეგრაციასა და შესაბამისობას, მათ შორის უსაფრთხოების კონტრაქტორების სათანადო შემოწმებას (due diligence), ტრენინგებს და ამ მოთხოვნების კომუნიკაციას მთელი ჩვენი ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით.

9. გავრცელება

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდზე, ინტეგრირებულია ბიზნესის სტანდარტული პირობების შერჩეულ ნაწილებში და შეიძლება რეგულარულად გადაიხედოს ჩვენი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და მარეგულირებელ ცვლილებებზე რეაგირების ფარგლებში.

10. ძალაში შესვლა

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაში შედის და მოქმედია 2026 წლის მაისიდან.